თამარ მეფის გამზირი 15
თბილისი, საქართველო 0102

15 Tamar Mepe Avenue
0102, Tbilisi, Georgia

Tel: 219-95-67; 219-91-59
Fax: 219-91-51

03.07.2018

N 3866

შპს ,,ჯთჯ"-ს დირექტორის ზურაბ თიმბერიძის მინდობილ პირს

ზურაბ თედიაშვილს

ქ. თბილისი, გ. ტოვსტონოგოვის N10

ბატონო ზურაბ,

საქართველოს რკინიგზა
1872-დან

სს „საქართველოს რკინიგზა"-ში განხილული იქნა თქვენი 2018 წლის 05 ივნისის და 20 ივნისის №505 განცხადებები, რომელიც ეხება 01.12.01.003.235 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ, თქვენს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, შენობის მშენებლობისთვის თანხმობის გაცემის საკითხს. თქვენი წარმომადგენლებისგან მიღებული ინფორმაციით, აღნიშნულ მიწის ფართზე დაგეგმილია ორ სართულიანი შენობის აშენება, სადაც განთავსდება ავტოსადგომი და საშეურნეო დანიშნულების ფართები.

ამასთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ მთავარ სარკინიგზო მაგისტრალსა და თქვენი უძრავი ქონების საზღვარს შორის დაგეგმილია სს „ელმავალმშენებელი"-ს მიერ გარემონტებული ლოკომოტივების გამოსაცდელი ელექტროფიცირებული ლიანდაგის მოწყობა.

თქვენს მიერ წარმოდგენილი ახალი ნახაზების თანახმად, შენობა დაცილებული იქნება მთავარი სარკინიგზო მაგისტრალის განაპირა ლიანდაგის ღერძიდან 21 მეტრით, ხოლო სს „ელმავალმშენებელი"-ს საპროექტო ლიანდაგიდან - 10-11 მეტრით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სს „საქართველოს რკინიგზა", თქვენს საკუთრებაში არსებულ მიწის ფართზე, დაგეგმილი მშენებლობის წინააღმდეგი არ იქნება იმ შემთხვევაში, თუ დაცული იქნება წარმოდგენილი ახალი ნახაზების მიხედვით გათვალისწინებული შენობის ლიანდაგებიდან დაცილების ზომები და ასევე ქვემდეგი პირობები:

1. ვინაიდან ასაშენებელი შენობა განლაგდება ელექტროფიცირებული ლიანდაგის სიახლოვეს, შენობის კედლები, სახურავი, და ა.შ. მოწყობილი უნდა იყოს არააალებადი მასალებისგან;

2. დაუშვებელია რკინიგზის ლიანდაგის მხარეს შენობას გააჩნდეს გასასვლელი კარებები, აივნები, ლიანდაგის მხარეს გასაღები სარკმელები, წვიმის წყლის მოსაცილებელი ღარები და ა.შ.;

3. აუცილებელია თქვენს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის ისე შემოფარგვლა (შემოღობვა), რომ თავიდან იქნას აცილებული თქვენთან შემოსული ავტოსატრანსპორტო საშუალებების და უცხო პირების მოხვედრა თქვენი ტერიტორიიდან რკინიგზის ლიანდაგებში.

ზემოთ ჩამოთვლილი ზოგადი ტექნიკური პირობების და საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმების და წესების მოთხოვნების გათვალისწინებით შემუშავებული საპროექტო დოკუმენტაცია, აუცილებელია წარმოდგენილი იქნას განსახილველად სს „საქართველოს რკინიგზა"-ში და შეთანხმდეს სს „ელმავალმშენებელთან".

ინფრასტრუქტურის დირექტორი

ვ. ხორავა

ქ.თბილისი 02 ივნისი 2018წ.

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

შ.პ.ს. „ჯთჯ“-ი, მისი წარმომადგენლის დირექტორის, ზურაბ თითბერიძის მიერ, წინამდებარე მინდობილობით ვანიჭებ უფლებამოსილებას ზურაბ თედიაშვილს (პირადი № 01005023782), დაბადებული 1990 წლის 31 ივლისს, მცხოვრები მის: ქ.თბილისი, გ. ტოვსტონოგოვის #10, მასზედ, რომ კომპანიის სახელით ხელი მოაწეროს, მოითხოვოს, ჩააბაროს და მიიღოს ყველა საჭირო მოთხოვნილ ოპერაციებზე.

მინდობილობა ეძლევა საჭიროებისამებრ სს „საქართველოს რკინიგზა“-ში წარსადგენად.

მინდობილობა გაიცემა 3(სამი) თვის ვადით.

შ.პ.ს. „ჯთჯ“

ს/კ: 40516952

დირექტორი

ზურაბ თითბერიძე

ელმავალ
საქართველოს მშენებელი
Joint Stock Company
LOCOMOTIVE BUILDER

სს „ელმავალმშენებელი“
JSC LOCOMOTIVE BUILDER

0141, ქ. თბილისი, საქართველო,
დ. გურამიშვილის გამზირი, 84
ტელ/ფაქსი: (995 32) 265 31 15, (995 32) 265 33 77
www.glmf.ge, ellocomotive@glmf.ge

0141, Tbilisi, Georgia,
D. Guramishvili Avenue, 84
Tel/Fax: (995 32) 265 31 15, (995 32) 265 33 77
www.glmf.ge, ellocomotive@glmf.ge

ქ. თბილისი

« _16_»____07_____2018 წ.

შპს „ჯთჯ“-ს დირექტორს
ბ-ნ ზურაბ თითბერიძეს

ბატონო ზურაბ,

სს „ელმავალმშენებელში“ თქვენი 2018 წლის 10 ივლისის წერილის საფუძველზე განხილული იქნა საკითხი, რომელიც ეხება ქ. თბილისში გამზირი დ. გურამიშვილი N84 (ს/კ 01.12.01.003.235) თქვენ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ობიექტის, ორ სართულიან მრავალ ადგილიანი ავტოსადგომის მშენებლობას, მოგახსენებთ რომ სს „ელმავალმშენებელი“ არ არის წინააღმდეგი აწარმოოთ ნებისმიერი სახის სამშენებლო სამუშაოები შეთანხმებული პროექტის და მშენებლობის ნებართვის საფუძველზე, თუ დაცული იქნება ახალი ნახაზების მიხედვით გათვალისწინებული შენობის ლიანდაგებიდან დაცილების ზომები და ყველა საჭირო სამშენებლო სპეციალური პირობები, რომლებიც ასევე აღნიშნულია სს „საქართველოს რკინიგზა“-ს 03.07.2018 წლის N3866 წერილში.

პატივისცემით,

გენერალური დირექტორი **დ. გორგოძე**

საპროექტო შენობის განთავსების კონტური

ქალაქი თბილისი, გამზირი დ.გურამიშვილი, №84 (ს/კ: 01.12.01.003.235)
შპს "ჯთჯ"-ს (ს/ნ: 405146952) საკუთრებაში არსებული 2433 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიზე განსათავსებელი მრავალადგილიანი ავტოსადგომის

გენგეგმა



პირობითი აღნიშვნები

WGS 1984-ის კოორდინატთა სისტემის UTM პროექცია

ქს — საცხ. შენობა	ხის ღობე	წ — წყალგაყვანილობა	
ქა — არასაცხ. შენობა	ღობე	გ — გაზი	
ფარდული	ქვის კედელი	კ — კანალიზაცია	
მშენებარე შენობა	კედელი	სან — სანიაღვრე	
წიწვოვანი ხე	ფლატე	კშ — კავშირგაბმულობა	
ფოთლოვანი ხე	რკინიგზა	ელ. ქსელები	
ხილკენკროვანი მცენარე	სამეთვალყურეო ჭები	თბ — გათბობა	
გარე განათება	ელ. გადამცემი ხაზი		

შენიშვნა: 1) გეგმაზე დატანილია საჯარო რეესტრში რეგისტრირებული ნაკვეთის საზღვრები
2) ვინაიდან გეგმაზე დატანილია მხოლოდ რეგისტრირებული მიწისქვეშა კომუნიკაციები მათი მდებარეობების დაზუსტება მოხდეს ყველა კომუნიკაციის წარმომადგენლებთან

შპს „ნიუ პოინტ“
საქართველო, თბილისი, საბურთალოს ქ. №44;
ტელ: +995 32 2945808; მობ: 557 704433;
Ltd „NewPoint“
44 saburTalo street, Tbilisi, Georgia,
tel: +995 32 2945808; cell phone: +995 557 704433;
www. newpoint.ge
info@newpoint.ge

დირექტორი:	გ. კირკიტაძე
აზომა:	ვ. ვირსალაძე
დახაზა:	ნ. კობაიძე
მასშტაბი: 1:500	30/06/2018 წ.


01.12.01.009.009
06 (1)
01.12.01.003.235
01.12.01.003.176
01.12.01.003.132
01.12.01.003.235
04 (1)
01.12.01.003.186
01.12.01.003.176
05 (1)
01 (2)
01.12.01.003.235
02 (1)
03 (1)
01.12.01.003.132
01.12.01.003.189